

ენბერიში

ქვეყნის უფლებათა
სამოქალაქო გაბმის
| თანვის პასუხის პასუხა

პროექტი
ადამიანის უფლებათა
სამოქმედო გაბმის შესრულების მონიტორინგი
მართლმსაჯულების სისტემის
გაუმჯობესებისთვის

საქართველოს დემოკრატიული
ინიციატივა





OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველოში

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of the Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

© 2016, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა

ISBN 978-9941-0-9204-6

სარჩვი

შესავალი	5
1. პროექტის ფარგლებში საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის GDI-ს მიერ განხორციელებული აქტივობების მოკლე მიმოხილვა	10
2. პასუხისმგებელი უწყებების მიერ სამოქმედო გეგმის I თავის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება	15
3. 2016-2017 წლებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შეფასება	49
4. რეკომენდაციები და წინადადებები	54

„საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ (GDI) ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტის „ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისთვის“ (შემდგომში – პროექტი) მეორე ეტაპი. პროექტი მიმდინარეობდა 2015 წლის 22 ოქტომბრიდან 2016 წლის 22 ივლისამდე და მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015) (შემდგომში – სამოქმედო გეგმა) პირველი თავით (სისხლის სამართლის მართლმსაჯულება) გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 5 ივლისს მიიღო დადგენილება „ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“. დადგენილების საფუძველზე შექმნილმა უწყებათაშორისმა საბჭომ მოამზადა როგორც საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (შემდგომში „სტრატეგია“), ასევე, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ორ წლიანი (რეგულარულად განახლებადი) სამოქმედო გეგმის (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“) პროექტები.

დადებითად უნდა შეფასდეს სტრატეგიის შემუშავება და საქართველოს პარლამენტის მიერ მისი დამტკიცება (2014 წლის 30 აპრილი) ვინაიდან იგი მიზნად ისახავს:

1. ხელისუფლების ყველა შტოსათვის ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას;

2. ადამიანის უფლებების არსის შესახებ საქართველოს მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებას. სტრატეგია გაწერილია 2014–2020 წლებისთვის.

სტრატეგია შედგება 23 თავისგან და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორცაა, მათ შორის, სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწა და მხარეთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება; სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დაცვის გაუმჯობესება; პროკურატურის რეფორმირება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართლიანი, ეფექტიანი და გამჭვირვალე სისხლისსამართლებრივი დევნის დამოუკიდებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სასჯელალსრულებისა და პრობაციის სისტემის და ყოფილ პატიმრებზე ზრუნვის მექანიზმების ჩამოყალიბება; ადამიანის წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება, გამჭვირვალე და დამოუკიდებელი გამოძიების წარმოების ჩათვლით; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა; გამოხატვის თავისუფლების, აგრეთვე შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტით დაცვის გარანტიების შექმნა; რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უზრუნველყოფა; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა; საკუთრების უფლების დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვა.

სტრატეგიის ეფექტური შესრულების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის № 445 დადგენილებით დამტკიცდა სამოქმედო გეგმა. იმავე დადგენილების საფუძველზე შეიქმნა სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ასევე, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიის შესრულების კონკრეტულ სამუშაოებს, ასევე, იმ უწყებებს, რომელთაც ევალებათ ხსენებული საქმიანობების განხორციელება. გაწერილია კონკრეტული შემაჯობებელი ვადებიც, რომლის ფარგლებშიც სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული

საქმიანობები უნდა განხორციელდეს. ამავდროულად, მოცემულია ინდიკატორები, რომლითაც უნდა მოხდეს აქტივობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი თვალსაზრისით შეფასება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხსენებული ფორმატი მოიცავს სახალხო დამცველის, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების ვალდებულებას სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

ასევე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო (შემდეგში „სამდივნო“), რომლის ფარგლებშიც პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები წარუდგენენ ანგარიშს ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. ასევე, სამდივნო ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს საქართველოს მთავრობას.

სამოქმედო გეგმის შემუშავება სტრატეგიის შესრულების საშუალებად პოზიტიურად უნდა შეფასდეს რამდენიმე მიზეზის გამო:

1. როგორც აღინიშნა, სამოქმედო გეგმაში გაწერილია თითოეული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობები, მათი განხორციელების ვადები, შეფასების ინდიკატორები და პასუხისმგებელი უწყებები;
2. სტრატეგიისაგან განსხვავებით, სამოქმედო გეგმის შესრულების ვადად დროის გაცილებით მოკლე მონაკვეთია განსაზღვრული (2014–2015 წლები);
3. სამოქმედო გეგმის საფუძველზე შექმნილი უწყებათაშორისი საბჭო ვალდებულია სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ყოველი წლის მარტის თვეში ანგარიში წარუდგინოს საქართველოს მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ, ხსენებულ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

ხსენებული ფაქტორები ხელს უწყობს სტრატეგიის ეფექტიან/თანმიმდევრულ შესრულებას და იძლევა პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების შესაძლებლობას.

პროექტი „ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისთვის“ მეორე ეტაპის განხორციელება დაიწყო 2016 წლის 22 ოქტომბერს, ხოლო დასრულდა 2016 წლის 22 ივლისს. პროექტის განხორციელების მიზნები და ამოცანები განისაზღვრა მონიტორინგის ეფექტიანობის თვალსაზრისით და მოიცავდა სხვადასხვა აქტივობას. ერთ-ერთ ასეთ აქტივობას წარმოადგენდა პერმანენტული მონიტორინგი, რაც გულისხმობდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისი უწყებების მხრიდან შესრულების ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში არაერთხელ განხორციელდა პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებებისათვის რეკომენდაციების, შენიშვნებისა და წინადადების მიწოდება. ამავდროულად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იყო საზოგადოების ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამებოდა თუ არა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები და მათი განხორციელება თავად სამოქმედო გეგმის მიზნებს.

ხსენებული აქტივობების განხორციელება მიზნად ისახავდა სამოქმედო გეგმის პირველი ორი თავით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად და ხარისხიანად შესრულების უზრუნველყოფის ზედამხედველობას, ხსენებული პროცესის წახალისებას, ბიძგის მიცემას და ამით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული მიზნის – არსებული სტანდარტების გაუმჯობესების მიღწევას. პროექტის განსაკუთრებული მნიშვნელობაც სწორედ ამ მიზნებიდან გამომდინარეობს. იგი არის კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული – კონკრეტული შენიშვნებით და რეკომენდაციებით, სამუშაო შეხვედრებზე გამოთქმული მოსაზრებებით, მონიტორინგის შედეგების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობით ფიქსირდება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი გარანტიების დამკვიდრების არგუმენტირებული მოთხოვნა/მოლოდინი.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ანგარიშის მიზანია არა რომელიმე სამთავრობო უწყების კრიტიკა, არამედ სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრასა და სამთავრობო უწყებე-

ბის მიერ განხორციელებული საქმიანობების სამოქმედო გეგმის მიზნებთან შესაბამისობას, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის გაუმჯობესებას.

ვინაიდან პროექტის პირველი ეტაპის ფარგლებში წარდგენილ იქნა 2014 წლის 9 ივლისის (სამოქმედო გეგმის დამტკიცების თარიღი) – 2014 წლის 31 დეკემბერის პერიოდის აქტივობების შესრულების მონიტორინგის შედეგები, შესაბამისად, პროექტის მეორე ეტაპი მოიცავდა 2014 წლის 31 დეკემბრიდან 2015 წლის ბოლომდე პერიოდს. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ პერიოდში პასუხისმგებელი უწყებების მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე და დეტალურად არ არის განხილული ის აქტივობები, რომლებიც 2015 წლის 31 დეკემბრის შემდეგ შესრულდა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშში წარმოდგენილი იქნება 2016 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების ხარისხობრივი შეფასებაც.



პროექტის ფარგლებში GDI-ს პირადად განხორციელებული აქტივობების მოქალაქეობრივი

პროექტის თანამშრომლები პერმანენტულად ახორციელებდნენ მონიტორინგს შესაბამისი უწყებების მიერ განხორციელებული ღონისძიებების სამოქმედო გეგმის პირველი თავით გათვალისწინებულ მიზნებთან ხარისხობრივი და რაოდენობრივი შესაბამისობის დადგენის მიზნით.¹

პროექტის იურისტმა მონაწილეობა მიიღო 2016 წლის 15-16 თებერვალს, ბორჯომში, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ორგანიზებით გამართულ სამუშაო შეხვედრაში, სადაც განხილულ იქნა 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის პროექტი. ამასთან, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თავების მიხედვით შეხვედრის მონაწილეები განაწილდნენ სხვადასხვა ჯგუფში, სადაც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია შესაბამის თავში გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე. პროექტის იურისტი დაესწრო | სამუშაო ჯგუფს, სადაც სხვა თემებთან ერთად განიხილებოდა სამოქმედო გეგმის პირველი თავი – სისხლის სამართლის მართლმსაჯულება და აქტიურად მიიღო მონაწილეობა გამართულ დისკუსიაში.

გარდა ამისა, პროექტის თანამშრომლები პერმანენტულად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ სხვა საინიციატივო ჯგუფების ორგანიზებით გამართულ შეხვედრებში, რომლებიც შეეხება სამოქმედო გეგმის პირველი თავით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების

¹ შენიშვნა: უმეტეს შემთხვევაში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორებით ფასდება მხოლოდ საქმიანობის შესრულება, როგორც ფაქტი და არა მისი შინაარსი. აღნიშნულისგან განსხვავებით, ანგარიშის ფარგლებში აქტივობების შეფასება მოხდა შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, ანუ რამდენად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, პასუხისმგებელი უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები და რამდენად იქნა მიღწეული განხორციელებული აქტივობებით დასახული ამოცანა და მიზანი.

თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასა თუ ინიციატივებს. 2015 წლის ოქტომბერში, პროექტის იურისტები მონაწილეობდნენ „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ სისხლის სამართლის რეფორმის ჯგუფის შეხვედრებში, მათ შორის, ესწრებოდნენ ექსპერტ ნიკოლაი კოვალევის დასკვნის პრეზენტაციას იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რეფორმის კანონპროექტთან დაკავშირებით. ამავე ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში მონაწილეობდნენ მთავრობის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში, როგორცაა სისხლის სამართლის პროცესში განაგონის, ირიბი ჩვენების და ზოგადად მტკიცებულებათა დასაშვებობის ახალი სტანდარტის ჩამოყალიბება. მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის შესახებ უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნის განხილვაში. საკვანძო საკითხებს წარმოადგენდა იუსტიციის საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობა და სასამართლოში საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის დანერგვის აუცილებლობა.

2016 წლის 05 თებერვალს პროექტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაში. შეხვედრაზე განხილულ იქნა შიდა კოალიციური საკითხები, მათ შორის, შეთანხმებული და მიზანმიმართული სტრატეგიის საკითხი. 2016 წლის 23 თებერვალს ესწრებოდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმთან დაკავშირებით უცხოელ ექსპერტებთან ორგანიზებულ შეხვედრაში, რომელიც გაიმართა მუხრანში. 2016 წლის 25 თებერვალს კი მონაწილეობა მიიღეს უზენაესი სასამართლოსა და „ევროსაბჭოს ოფისი საქართველოში“ მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომები, შემოთავაზებული ჩამონათვალი და განმარტებები“.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, პროექტის იურისტები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევების და მოსაზრებების განხილვაში. მათ შორის აღსანიშნავია „მოსამართლეთა ერთობის“ მიერ მომზადებული კვლევის პრეზენტაცია სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლისთვის მხარეებთან შეთანხმების გარეშე დამაზუსტებელი კითხვის დასმის უფლების მინიჭების თაობაზე. მიგვაჩნია, რომ ეს

საკითხი დისკუსიის საგნად უნდა იქცეს, ვინაიდან არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნულმა ცვლილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინოს სისხლის სამართლის შეჯიბრებით პროცესზე. ასევე, იურისტები ესწრებოდნენ კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წევრი ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევების პრეზენტაციებს და მონაწილეობდნენ დისკუსიაში. კვლევა ეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგებს, ამასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე განხილულ იქნა სასამართლო სისტემის რეფორმის შემდგომი ნაბიჯები.

განსაკუთრებით საინტერესო იყო კოალიციის სისხლის სამართლის რეფორმის ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლებსა და მათ მიერ მოწვეულ ამერიკელ მაგისტრატ მოსამართლე, სუზან ლისთან. საკითხი ეხებოდა წინასასამართლო პრობაციის ინსტიტუტის დანერგვას სასამართლოში. ამავე შეხვედრაზე სისხლის სამართლის რეფორმის ჯგუფის წევრებმა განიხილეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული უკანასკნელი ცვლილებების პროექტი და პარლამენტს განცხადებით მიმართეს, გაეთვალისწინებინა ის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რაც ჯგუფის წევრების პოზიციით აღმოფხვრიდა არსებით ხარვეზებს მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში. განცხადების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ პროექტის იურისტებიც.

ამავდროულად, პროექტის ფარგლებში შესაბამისი უწყებებისგან, მათ შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, მთავარი პროკურატურისგან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსგან, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსგან და საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რისი განხორციელებაც გათვალისწინებული იყო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა მოწმეთა დაკითხვის ალტერნატიული მექანიზმი და უარი თქვა 2009 წლის რეფორმის მნიშვნელოვანი მონაპოვარის, ნებაყოფლობითი გამოკითხვის წესზე, რის გამოც პროექტის იურისტებმა ამ

მიმართულებით წარადგინეს მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. კერძოდ, GDI-ს პოზიციით, უალტერნატივოა გამოკითხვის წესის იმ სახით ამოქმედება, როგორც ის უკვე გაწერილი იყო საპროცესო კანონმდებლობაში. თუმცა, ხელისუფლების პოზიციის გათვალისწინებით ზოგადად სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების მოუმზადებლობის თაობაზე, იუსტიციის სამინისტროსთვის შეთავაზებული იქნა უკვე გაწერილი გამოკითხვის წესის ამოქმედების ეფექტური გზა, რაც გამოიხატებოდა არსებული წესის ეტაპობრივ ამოქმედებაში. შესაბამისად, სამართალდამცავ ორგანოებს და სასამართლო ხელისუფლებას დამატებით დრო ექნებოდა მოსამზადებლად. კერძოდ, 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის 01 ივლისამდე მოწმის პირდაპირ არსებით განხილვაზე დაკითხვის წესი ამოქმედდებოდა მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომელიც ითვალისწინებს ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან უფრო მსუბუქ სასჯელს, 2016 წლის 01 ივლისიდან 2017 წლის 01 იანვრამდე დაკითხვის ახალი წესი გავრცელდებოდა ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, 2017 წლის 01 იანვრიდან ამავე წლის 01 ივლისამდე იგივე წესი გავრცელდეს მძიმე დანაშაულებზეც და ბოლოს 2017 წლის 01 ივლისიდან დანაშაულთა წრეს დაემატოს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2016 წლის პირველ ნახევარში, „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინა ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს, 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით. პროექტის თანამშრომლების მიერ მომზადებულ დოკუმენტში დეტალურად იქნა განხილული სამოქმედო გეგმის როგორც პირველ, ისე სხვა თავებში არსებული ხარვეზები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შესასრულებელი ღონისძიებების ხარისხობრივ შეფასებაზე. გამოიყო უარყოფითი მხარეები, ხაზი გაესვა მათი გაუმჯობესების აუცილებლობას და შეთავაზებულ იქნა პრობლემის მოგვარების მოდელები, რომლებიც, ერთი მხრივ, პასუხობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას ქართულ კანონმდებლობაში. ყურადღება გამახვილდა ინდიკატორების სწორ განსაზღვრაზე და გაიცა რეკომენდაციები მათი ხარისხობრივი შეფასების გაზრდისთვის, კონკრეტულ ფორმულირებებთან დაკავშირებით.

პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 11 იანვარიდან, GDI არის წევრი ორგანიზაცია და აქტიურად თანამშრომლობს კოალიციასთან „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“. ამავე პროექტის ფარგლებში, GDI აქტიურად ჩაერთო კოალიციის სისხლის სამართლის რეფორმის ჯგუფის საქმიანობაში, სადაც პროექტის იურისტი მონაწილეობს ჯგუფის წევრის სტატუსით. კოალიციასთან თანამშრომლობაში იგულისხმება, მათ შორის ისეთ ფუნდამენტურ საკითხები, როგორცაა მართლმსაჯულების რეფორმა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვის რეფორმა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ პროექტის იურისტებმა მოამზადეს და კოალიციის სისხლის სამართლის ჯგუფში ერთობლივი განხილვის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს სარჩელით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილის (კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის უფლება) და 120-ე მუხლის მე-10 ნაწილების (მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება) საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან კონსტიტუციურობის თაობაზე.

პასუხისმგებელი უწყებების მიერ საოქაოლო გზების I ტაჟის უარცხობი განსორცილავი სავიანოვავის რეკონსტრუქცი და სარისსობრივი შეუწავა



მიზანი: 1. სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით

ამოცანა: 1.1. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწისათვის საჭირო ცვლილებების ინიცირება

საქმიანობა: 1.1.1. შეჯიბრობითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებების განმტკიცება

შესრულების ვადა: 2014 წელი

ინდიკატორი: საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

სტატუსი: შეუსრულებელი

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წ.) პირველი თავის 1.1.1 პუნქტით მთავრობამ აილო ვალდებულება, 2014 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გაეუმჯობესებინა მდგომარეობა შეჯიბრობითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლებრივი მდგომარეობის კუთხით.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე მონიტორინგმა აჩვენა, რომ პასუხისმგებელ უწყებებს 2014 წლის განმავლობაში ნაკისრი ვალდებულება საერთოდ არ შეუსრულებიათ. მიუხედავად მთავრობის უმოქმედობისა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში წინამდებარე ქვეთავს „შესრულებულის“ სტატუსი მიანიჭა. ანგარიშში შეს-

რულებულ აქტივობებად 2013 და 2015 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებია მიჩნეული.

მსგავსი მიდგომა უარყოფითად შეფასდა GDI-ის მიერ მომზადებულ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პირველ ანგარიშშიც. მიგვაჩნია, რომ სამდივნომ ზუსტად უნდა ასახოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული, მათ შორის შეუსრულებელი აქტივობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის გაჩნდება განცდა სამდივნოს მიერ საკითხის დადებით კონტექსტში წარმოჩენის მცდელობის თაობაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პერიოდი, რაც რაიმე სახით უკავშირდებოდა შეჯიბრებითობის პრინციპს და დაცვის მხარის უფლებებს, სცდება სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადას. მიუხედავად აღნიშნულისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევადგათ ეს ცვლილებები სამოქმედო გეგმის პირველი თავის ზოგად მიზანთან მიმართებით. კერძოდ, აუცილებლად უნდა გაირკვეს ცვლილებების შედეგად რამდენად დაუახლოვდა კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ცვლილებებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს 2016 წლის 20 თებერვალს სისხლის სამართლის პროცესში გამოკითხვის წესის ამოქმედება, რაც მიუხედავად მისი დადებითი მხარეებისა მნიშვნელოვანი ხარვეზებით განხორციელდა (რაც გულისხმობს ნებაყოფლობითი გამოკითხვის წესის დამკვიდრებას, თუმცა გარკვეული შეზღუდვებით). ასევე, აღსანიშნავია, სამდივნოს ანგარიშში ასახული, 2015 წლის ივლისის თვის ცვლილებები აღკვეთის ღონისძიების-პატიმრობის გადასინჯვის წესის შეცვლასთან დაკავშირებით, რამაც გარკვეულწილად უკეთესობისკენ შეცვალა დაცვის მხარის უფლებრივი მდგომარეობა.

ამასთან, მიუხედავად ცვლილებებისა, კვლავ აქტუალურია საპროცესო კანონმდებლობის იმ ჩანაწერების პრობლემურობა, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს შეჯიბრებითობის პრინციპს და აკნინებს დაცვის მხარის უფლებებს. მათ შორის, როგორცაა ელექტრონული მატარებლებიდან ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე განჩინების გაცემის მოთხოვნით სასამართლოსთვის

მიმართვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭება² და მხოლოდ ბრალდების მხარის აღჭურვა დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლებით.³

აღსანიშნავია, რომ ამ ორი საკითხის გადაჭრის მიზნით „საქართველოს დემოკრატიულმა ინიციატივამ“ სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. GDI საკონსტიტუციო სასამართლოს სთხოვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და 120-ე მუხლის მე-10 ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობას, ვინაიდან ისინი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცულ, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, კერძოდ მის მნიშვნელოვან ელემენტს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლების ბრალდების მხარისთვის მინიჭება არღვევს პირის თვითინკრიმინირებისაგან დაცვის უფლებას.

შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი

ვიდრე ზემოთ აღნიშნული საკითხების უფრო დეტალურ განხილვას დავიწყებდეთ, მნიშვნელოვანია იმის სწორად გააზრება, თუ რას წარმოადგენს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისევე როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტს.⁴

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №1772, 03/11/2009.

³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №1772, 03/11/2009.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № 3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „8“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. II.პ. 16. *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, § 33, *Feldbrugge v. the Netherlands*, § 44

შევიბრებიან პრინციპს მჭიდროდ უკავშირდება მხარეთა თანასწორობის პრინციპი.⁵ „თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში.“⁶ თანასწორობა განიმარტება, როგორც სამართალწარმოების (დაცვისა და ბრალდების) მხარეებისათვის ერთნაირი საპროცესო უფლებების მინიჭება.⁷ შევიბრებიან და მხარეთა თანასწორობა მოქმედებს, მათ შორის, გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებების მოპოვებისას.⁸ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოძიება მიმდინარეობს ცალმხრივად და არა არის დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირის მიმართ.⁹ შესაბამისად, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს, უნდა ჰქონდეთ უფლება და შესაძლებლობა თანაბარ პირობებში მოიპოვონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

■ გამოკითხვის და დაკითხვის ახალი წესი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა უკვე რამდენიმე წელია წარმოადგენს აქტიური მსჯელობის საგანს. მათ შორის აღსანიშნავია სისხლის სამართლის საპროცესო სისტემაში განხორციელებული ფუნდამენტური ცვლილებები. 2009 წელს მიღებულმა საპროცესო კოდექსმა პრიორიტეტად აღიარა კონსტიტუციით გარანტირებული მხარეთა თანასწორობისა და შევიბრებიან პრინციპი და განსხვავებით 1998 წლის საპროცესო კოდექსისგან სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ნაცვლად ინკვიზიციური მოდელისა, შევიბრებით მოდელს დააფუძნა.

⁵ ECHR, *Reinhardt and Slimane-Kaïd v. France* (Appl. Nos. 23043/93 and 22921/93), 31 March 1998, §103.; *Delcourt v. Belgium* (Appl. no. 2689/65), 17 January 1970, § 28. ECHR, *Borgers v. Belgium* (Appl. No. 12005/86), 30 October 1991, (procureur general), §§ 24 and 26.

⁶ საქართველოს სახელისუფლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №31/1608,609, 2015 წლის 29 სექტემბერი, პარა. 19.

⁷ *Doucet v UK*, ECtHR, 24/06/2003, §41; ICCPR, მუხლი 14(3)(d); ECHR, მუხლი 6; *G.B. v France*, ECtHR, 02/10/2001, §58; *Brandstetter v. Austria*, ECtHR, 28/08/1991, §66.

⁸ *Imbrioscia v Switzerland*, 24th November 1993, No. 13972/88, §36.

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 84, §2-3, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2015.

მართლმსაჯულების სისტემის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფასთან ერთად, რეფორმის ძირითადი მიზანი იყო სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცება, მათ შორის, წინასწარი გამოძიების დროს.¹⁰ ამ მიმართულებით, რეფორმის ძირეულ ნოვაციად გამოცხადდა უარის თქმა გამოძიების ეტაპზე ჩვენების მიცემის სავალდებულო ხასიათზე და მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემის ნებაყოფლობითობის უზრუნველყოფა. ამასთან, სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში აღინიშნა, რომ ჩვენების მიცემის ნებაყოფლობითობის პრინციპი შესაძლოა ითვალისწინებდეს გარკვეული სახის გამონაკლისებს. დადგენილი წესიდან გადახვევა შესაძლოა გამართლებული ყოფილიყო საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიში დანაშაულების გამოძიების და გახსნის საჯარო ინტერესით, თუმცა დოკუმენტში გარკვევით აღინიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, წინასწარი გამოძიების ეტაპზე მოწმის დაკითხვა ორივე მხარის თანდასწრებით, მოსამართლის წინაშე უნდა მომხდარიყო.¹¹

რაც შეეხება მოწმის მიერ წინასწარი გამოძიების ეტაპზე სავალდებულოდ ჩვენების მიცემის წესს და მისი ცვლილების საჭიროებას. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის კოდექსში ჩამოყალიბებული მოწმის დაკითხვის წესი და მასზე დაფუძნებული პრაქტიკა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი. კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ 1998 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო რეგულაცია საგამოძიებო ორგანოებს უტოვებდა შესაძლებლობას გამოძიებით უკვე იდენტიფიცირებული ეჭვმიტანილი/ბრალდებულისგან ამ სტატუსის მინიჭებამდე, მოწმის სახით მიეღოთ საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინ როდესაც სტატუსის მინიჭების შემდეგ ეჭვმიტანილს/ბრალდებულს შეეძლო ესარგებლა დუმილის უფლებით.¹²

¹⁰ 2005 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, შემუშავებული 2004 წლის 19 ოქტომბრის #914 პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, თბილისი, 3.

¹¹ 2005 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, შემუშავებული 2004 წლის 19 ოქტომბრის #914 პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, თბილისი, 5.

¹² იქვე, 2.

სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა კანონმდებლობის სისტემური ცვლილების აუცილებლობა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შეჯიბრებით მოდელზე გადასვლა.

შედეგად, 2009 წლის 9 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სისტემურად ახალი, სამართალწარმოების წმინდა შეჯიბრებით მოდელზე დაფუძნებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წლის 01 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში. ახალმა საპროცესო კოდექსმა შემოიღო წინასწარი გამოძიების ეტაპზე ნებაყოფლობითი გამოკითხვის ინსტიტუტი.

მიუხედავად კანონმდებლის ნების არსებობისა, 2016 წლის 20 თებერვლამდე, სისხლის სამართლის პროცესში დაკითხვა 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მიმდინარეობდა.¹³ 2016 წლის 20 თებერვლის შემდეგ სახელმწიფომ უარი განაცხადა 2009 წლის რეფორმით აღიარებული ნებაყოფლობითი გამოკითხვის წესის სრულად ამოქმედებაზე და პროცესის მხარეებს ალტერნატიული წესი შესთავაზა. ახალი რეგულაციით სახელმწიფომ გამოძიების ეტაპზე ნაწილობრივ გაათანაბრა მხარეთა პროცესუალური მდგომარეობა, თუმცა ვერ შეძლო სრულად უარი ეთქვა დაცვის მხარესთან მიმართებით პრივილეგირებულ მდგომარეობაზე.

იუსტიციის სამინისტროს ავტორობით შექმნილი საკანონმდებლო ინიციატივით ერთი შეხედვით ახალი წესი გულისხმობს გამოკითხვისას ინფორმაციის გაცემის ნებაყოფლობითობას, თუმცა მეორე მხრივ უშვებს ისეთ გამოწვევებს, რაც აშკარად უპირისპირდება ინფორმაციის გაცემის ნებაყოფლობითობის, ასევე, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ცვლილებები მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებს უფლებას, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა გამოსაკითხი პირის მაგისტრატ მოსამართლესთან სავალდებულო დაკითხვის თაობაზე. აღნიშნულ შუამდგომლობას საფუძვლად უნდა დაედოს გამოსაკითხი პირის

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე #1772, 03/11/2009.

უარი ინფორმაციის გაცემაზე (1) და, ასევე, უნდა არსებობდეს ფაქტი ან/და ინფორმაცია (2), რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი.

შევიბრები თობისა და თანასწორობის პრინციპის მნიშვნელოვან დარღვევად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ დაცვის მხარე მოკლებულია შესაძლებლობას დაესწროს ბრალდების მხარის შუამდგომლობით მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის პროცესს.¹⁴

მიგვაჩნია, რომ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოწმის მაგისტრატ მოსამართლესთან დაკითხვის უფლების მხოლოდ ბრალდების მხარისთვის მინიჭება და დაცვის მხარის შეზღუდვა დაესწროს აღნიშნულ პროცესს, მნიშვნელოვნად ლახავს სამართლიანი სასამართლოს, კერძოდ სისხლის სამართლის პროცესში შევიბრები თობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს. ვინაიდან, მხარეებს აყენებს არათანაბარ მდგომარეობაში მოიპოვონ, წარმოადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები და ამით გავლენა მოახდინონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს და უარყოფითად უნდა შეფასდეს მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის იძულებით დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დასაყენებლად გამოყენებული დაბალი მტკიცების სტანდარტი. კერძოდ, მოქმედი ნორმებით ბრალდების მხარეს ნებისმიერი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად (ამ შემთხვევაში მოწმის დაკითხვა) ესაჭიროება „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა“, ხოლო მიღებული კანონით პირის მაგისტრატ მოსამართლესთან იძულებით დაკითხვა შესაძლებელია მხოლოდ ერთი ფაქტის ან ინფორმაციის არსებობის შემთხვევაშიც. არსებობს საფრთხე, რომ აღნიშნული სტანდარტი ბრალდების მხარემ გამოიყენოს ფართო ინტერპრეტაციით, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების და ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ.

¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 114 (10), საკანონმდებლო მაცნე №1772, 03/11/2009.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მოწმის დაკითხვის ახალი წესი შეიცავს გარდამავალ დებულებას, რომლის თანახმად მთელ რიგ, მათ შორის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე (მათ შორის მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ) 2017 წლის იანვრამდე დაკითხვა წარმოებს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ამავე კოდექსით დადგენილი წესით 2018 წლის 1 იანვრამდე გრძელდება მოწმეთა დაკითხვა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ აქტუალურ დანაშაულებზე (ძარცვა, ყაჩაღობა) და სხვა.

■ კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის წესი

სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის დარღვევის, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის გამოთხოვის წესი. საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი მხოლოდ პროკურორს ანიჭებს ამ საკითხზე შუამდგომლობის დაყენების უფლებამოსილებას.

იურიდიულ ლიტერატურაში და პრაქტიკოს იურისტებს შორისაც არსებობს მოსაზრება, რომ კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის წესი ვრცელდება მხოლოდ „მომსახურების მომწოდებლისგან“ ინფორმაციის გამოთხოვაზე. საპროცესო კოდექსის მიზნებისთვის „მომსახურების მომწოდებელი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მომხმარებლებს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ურთიერთობა განახორციელონ კომპიუტერული სისტემის საშუალებით. ასევე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც ამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ასეთი მომსახურების მომხმარებელთა სახელით.¹⁵ (მაგ. ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიები, მობილური კავშირგაბმულობის კომპანიები და სხვა.)

¹⁵ სსკ-ის მე-3 მუხლის 29-ე ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე 31, 03/11/2009, #1772.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის რეჟიმში მომსახურების მომწოდებლისგან მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვასთან ერთად ასევე, ექვევა, ნებისმიერი პირის კომპიუტერული სისტემიდან ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვაც.¹⁶

საპროცესო კანონმდებლობის მიზნებისთვის კომპიუტერული სისტემა არის ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მაგ. პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).¹⁷ ხოლო, კომპიუტერული მონაცემი არის კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.¹⁸

შესაბამისად დაცვის მხარისგან განსხვავებით, ბრალდების მხარე უფლებამოსილია სასამართლოს წესით გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი ელექტრონული მონაცემის მატარებლიდან. რაც, დღევანდელი ტექნოლოგიური რეალობიდან გამომდინარე მნიშვნელოვან უპირატესობაში აყენებს მას.

საბოლოო ჯამში სისხლის სამართლის საქმეში ინფორმაციის/მტკიცებულების მოპოვების განსხვავებული წესის დადგენა განპირობებულია არა მხოლოდ იმ სპეციალური სუბიექტების გამო, ვინც შეიძლება ფლობდეს ელექტრონული ფორმით ინფორმაციას (მომსახურების მომწოდებელი), არამედ ნორმის რეგულირების სფეროს ობიექტია ინფორმაციის/დოკუმენტის ელექტრონული ფორმა.

¹⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლო 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება საქმეზე #1გ/1245.

¹⁷ სსსკ-ს მე-3 მუხლის 27-ე ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე 31, 03/11/2009, #1772.

¹⁸ სსსკ-ს მე-3 მუხლის 28-ე ნაწილი, საკანონმდებლო მაცნე 31, 03/11/2009, #1772.

ზემოაღნიშნული მოსაზრება უფრო ცხადი გახდება ნორმის შედარებითი ანალიზის შემთხვევაში. კერძოდ, მიმდინარე დროში ინფორმაციის შეგროვებისას სასამართლოს მიერ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე გაცემული განჩინება მიემართება მხოლოდ მომსახურების მომწოდებელს და მხოლოდ მისთვის არის სავალდებულო შესასრულებლად.¹⁹

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვა უნდა განვიხილოთ, როგორც ინფორმაციის ამოღების ზოგადი წესის კონკრეტული შემთხვევა, ვინაიდან ტექნოლოგიურმა განვითარებამ და ინფორმაციის/დოკუმენტის ელექტრონული ფორმით გამოყენების ფართოდ გავრცელებამ აუცილებელი გახადა ელექტრონული სახის მტკიცებულების მოპოვების ახალი რეჟიმის შემოღება.

■ მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება

საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს უფლება პირველად გამოიკვილოს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული საგანი, ნივთი, ნივთიერება, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი სხვა დოკუმენტი. მიგვაჩნია, რომ წინამდებარე დებულება მნიშვნელოვნად არღვევს შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპს, ამასთან ეწინააღმდეგება პირის თვითინკრიმინირებისგან დაცვის გარანტიებს.

მნიშვნელოვანია ნორმის მიღების ისტორია. საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ნორმა 2013 წლის 14 ივნისს მიიღო, თუმცა მოგვიანებით აამოქმედა. ნორმა ძალაში 2014 წლის 01 სექტემბერს სხვა ცვლილებებთან ერთად შევიდა. მათ შორის, დაცვის მხარეს მიენიჭა სასამართლოს განჩინებით ჩხრეკისა და ამოღების უფლება, თუმცა ამავდროულად გაუქმდა დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლება მტკიცებულების წარდგენასთან დაკავშირებით.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებულ დასკვნაში ვკითხულობთ, რომ დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭების

¹⁹ სსსკ-ის 138-ე მუხლი, საკანონმდებლო მაცნე 31, 03/11/2009, #1772.

პარალელურად ბრალდების მხარის პირველადი გამოკვლევის უფლებით აღჭურვა ემსახურება შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებას, რაც, ჩვენი აზრით, არ წარმოადგენს საფუძვლიან არგუმენტს.

კერძოდ, ცვლილებებამდე მიიჩნეოდა, რომ მხარეები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მხარეთა უთანასწორო მდგომარეობა გარკვეულწილად დააბალანსა დაცვის მხარისთვის ჩხრეკის და ამოღების უფლების მინიჭებამ, თუმცა პირველადი გამოკვლევის უფლების ბრალდების მხარისთვის მინიჭებამ კვლავ დაარღვია მხარეთა თანასწორობის ბალანსი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირის/ბრალდებულის თვითინკრიმინირებისგან დაცვას განიხილავს, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვაკუთხედს. თავის მხრივ, თვითინკრიმინირებისგან დაცვაში მოიაზრებს მის სხვადასხვა სახეს, როგორიცაა:

- ბრალდებულის უფლება არ მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ (დუმილის უფლება);
- უფლება ბრალდების მხარეს არ მიაწოდოს ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რაც მის ბრალეულობას დაადასტურებდა.

საქმეში *Funke v. France* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის იძულების მცდელობა, წარმოედგინა მტკიცებულებები იმ დანაშაულზე, რომელიც სავარაუდოდ თავადვე ჩაიდინა, იყო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, კერძოდ არღვევდა მისი დუმილის უფლებას და საკუთარი თავის ინკრიმინირების ხელშეწყობის აკრძალვას.

პირის თვითინკრიმინირებისგან დაცვის გარანტიებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუციაც. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, 42-ე მუხლის მერვე პუნქტი წარმოადგენს თვითინკრიმინირებისგან დაცვის კერძო შემთხვევას და მოიცავს მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის აკრძალვას. შესაბამისად, სხვა სახის მტკიცებულების ბრალდების მხარისთვის გადაცემის აკრძალვა, რაც ადასტურებს პირის ბრალეულობას, ამ პუნქტით დაცული არ არის. თუმცა, კონსტიტუციის

42-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მათ შორის თვითინკრიმინირების ყველა გამოვლენას.

ამასთან, ნორმის განმარტებითი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მისი შემოღების მიზანი არის მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცება. აღნიშნულთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ წესი, რომელიც გამორიცხავს მიზნის მიღწევას, შეიძლება გამართლებულ იქნეს ამ მიზნის მიღწევის საშუალების, ამ შემთხვევაში შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით“.

მართებულად მიგვაჩნია გაუქმდეს საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი (მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლება), რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღმოფხვრის ბრალდებულის თვითინკრიმინირებისგან დაცვის უფლების დარღვევის საფრთხეს.

საბოლოო ჯამში, მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ მომზადებული და ძალაში შესული საკანონმდებლო ინიციატივები არის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების გარკვეული მცდელობა. თუმცა, ამის მიუხედავად, კვლავ აქტუალური რჩება ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი და მწვავე პრობლემები. ეს უკანასკნელი არსებით საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის შეჯიბრებით პროცესს და ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა შეჯიბრებითობა, მხარეთა თანასწორობა და ბრალდებულის თვითინკრიმინირებისგან დაცვა. ასევე, აფერხებს დაცვის მხარის უფლების სრულად რეალიზებას.

სამდივნოს ანგარიშში ასევე საუბარია საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებზე, რომელზეც მუშაობს იუსტიციის სამინისტრო. საქმე ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობის ახალ წესს, მათ შორის, ირიბი მტკიცებულების დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმების განსაზღვრას. აღსანიშნავია, რომ ზოგადად რეფორმის კონცეფცია დადებითად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცვლილებების განხორციელების ვალდებულება წარმოიშვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების საფუძველზე.²⁰ საკონსტიტუციო სასამართლო

²⁰ იხ. <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-zurab-miqadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-884.page>

აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა და 169-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა პირის ბრალდებულად ცნობას და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას ირიბი ჩვენების საფუძველზე. ამასთანავე, მიგვანჩნია, რომ მხოლოდ ცვლილებებზე მუშაობის პროცესი და მათი ინიცირებაც კი აპრიორი არ უნდა შეფასდეს, როგორც კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოვება. აუცილებელია ცვლილებები, პირველ რიგში, შინაარსობრივად შეესაბამებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და შემდგომ იმ სტანდარტებს, რასაც საერთაშორისო ხელშეკრულებები და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ადგენს საკუთარი პრაქტიკით.

საქმიანობა: 1.1.2. საპროცესო შეთანხმების რეფორმა

ინდიკატორი: საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

შესრულების ვადა: 2014 წელი

სტატუსი: შესრულებული

საპროცესო შეთანხმების რეფორმასთან დაკავშირებით ცვლილებები 2014 წლის 24 ივლისს შევიდა და იგი შეეხო აღნიშნული ინსტიტუტის ძირეულ ასპექტებს. GDI-მ 2015 წლის ანგარიშში მიღებული ცვლილებები პოზიტიურად და სამოქმედო გეგმის პირველი თავით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად შეაფასა.²¹ აღნიშნულის შემდგომ რაიმე არსებითი ცვლილება ამ მიმართულებით კანონმდებლობაში არ შესულა.

²¹ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ანგარიში ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის I და II თავების შესრულებასთან დაკავშირებით, 2015, 15 <http://gdi.ge/uploads/other/0/252.pdf>

საქმიანობა: 1.1.3. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმა

ინდიკატორი: ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

შესრულების ვადა: 2014 წელი

სტატუსი: შეუსრულებელი

2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები 2014 წელს უნდა განხორციელებულიყო. მართალია, 2014 წლის 18 სექტემბერსა და 2015 წლის 19 თებერვალს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდა, თუმცა იგი მიმართული იყო არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირებისაკენ, არამედ მნიშვნელოვნად აკნინებდა ამ ინსტიტუტის როლს. აღნიშნული ცვლილებები GDI-მ 2015 წლის ანგარიშში უარყოფითად შეაფასა და გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აქტიურად განაგრძობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირების პროცესს მისი არსებითად გაუმჯობესებისა და დახვეწის კუთხით.²² სამწუხაროდ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ამ მიმართულებით სხვა ცვლილებები კანონმდებლობაში არ შესულა. შესაბამისად, მსგავსად წინა ანგარიშისა, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას უარყოფითად აფასებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმირების კუთხით პასუხისმგებელი უწყებების მიერ განსახორციელებელ საქმიანობას „შეუსრულებლის“ სტატუსი მიანიჭა.

მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინამდებარე ანგარიშის ფარგლებში 2016 წლის 24 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებების შეფასება მისი მნიშვნელობიდან

²² საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ანგარიში ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის I და II თავების შესრულებასთან დაკავშირებით, 2015, 18 <http://gdi.ge/uploads/other/0/252.pdf>

გამომდინარე. აღნიშნული ცვლილებები ძალაში 2017 წლის 01 იანვრიდან შევა. გასათვალისწინებელია, რომ ცვლილებების მიღებას წინ უძღოდა ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ მომზადებული ნაფიც მსაჯულთა ევროპული მოდელის შედარებით-სამართლებრივი კვლევის საფუძველზე იუსტიციის სამინისტროს მიერ შედარებით-სამართლებრივი კვლევის მომზადება, რომლის საფუძველზეც იუსტიციის სამინისტრომ საბოლოოდ კანონპროექტი შეიმუშავა. კანონპროექტის შემუშავებისას აქტიურად იყვნენ ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებმაც საკუთარი შენიშვნები გაუზიარეს სამინისტროს. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ მოწვეული კანადელი ექსპერტის, ნიკოლაი კოვალევის შეფასებები კანონპროექტთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს და იწვევდა კრიტიკას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უცხოელ ექსპერტებში, თუმცა კანონის საბოლოო ვერსიაში შენიშვნების დიდი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა. ცვლილებების მიღებას გამოეხმაურა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, რომელმაც განცხადებაში აღნიშნა, რომ შემოთავაზებული ცვლილებებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობისა და ფუნქციონირების ძირეული ასპექტები.²³

განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებების მიღების მიზანია „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფუნქციონირებისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა და აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.“ აღნიშნულის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით შევიდა, მათ შორის, შეეხო ნაფიც მსაჯულთა ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას, ნაფიცი მსაჯულობის შეუთავსებლობის საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვის ორგანიზებასა და ვადებს, ნაფიც მსაჯულთა აცილებას და სხვა საკითხებს. მიღებული ცვლილებების ძირითადი ნაწილი პოზიტიურად უნდა შეფასდეს,

²³ <http://www.gdi.ge/ge/news/koaliciis-damoukidebeli-da-gamchvirvale-martlmsadjulebisatvis-gancxadeba-sisxlis-samartlis-processhi-nafic-msadjulta-institutis-reformirebastan-dakavshirebit-momzadebul-kanonproeqtze.page>

რამეთუ იგი მიმართულია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული სასამართლო პროცესის უფრო მეტად დახვეწისა და გაუმჯობესებისაკენ, თუმცა მიღებულ კანონში მაინც შენარჩუნდა ნორმები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციას.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ნაფიც მსაჯულთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფასთან²⁴, ასევე, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურებსა და ვადებთან დაკავშირებით შესული ცვლილებები, რომლის თანახმადაც, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სია უნდა შედგებოდეს არა 100, არამედ 300 პირისგან, რომლებსაც ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე 20 დღით ადრე უნდა გაეზავნოთ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი, ხოლო კანდიდატებმა შევსებული კითხვარი 5 დღის ვადაში უნდა დაუბრუნონ სასამართლოს, რომელსაც სასამართლო, ასევე 5 დღის ვადაში გადასცემს მხარეებს.²⁵ ცვლილებებამდე კოდექსით კონკრეტული ვადები დადგენილი არ ყოფილა, რის გამოც პრაქტიკაში ხშირად კითხვარი მსაჯულებს საკმაოდ გვიან, სხდომის წინა დღეს ეგზავნებოდათ.²⁶ ამასთან, გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომელიც მოსამართლემ უნდა განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე.²⁷

ცვლილებების თანახმად, ნაფიცი მსაჯულის აცილების კიდევ ერთი საფუძველი ხდება პირის ნასამართლეობა. ამასთან, ის პირები, რომლებსაც ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელი დაედოთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ იქნებიან ნაფიცი მსაჯულები, თუ ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წელზე ნაკლებია გასული. ცვლილებებია განაჩენის სასჯელის ნაწილის სააპელაციო სასამარ-

²⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველი მუხლის მე-2 პუნქტი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი).

²⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველი მუხლის მე-5 პუნქტის ა) ქვეპუნქტი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი).

²⁶ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/123251?>

²⁷ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველი მუხლის მე-10 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

თლოში განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ცვლილებებამდე მოქმედი წესისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო განაჩენით თავად ადგენს ახალ სასჯელს, რომელიც გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. მანამდე არსებული წესით, საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კოდექსში კიდევ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა. კერძოდ, კოდექსიდან ამოღებულ იქნა ნორმა, რომლის თანახმადაც, აკრძალულია დაუსაბუთებელი აცილების იმდაგვარად გამოყენება, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია „რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.“ აღსანიშნავია, რომ ამ ნორმასთან დაკავშირებით პროფესორ ნიკოლაი კოვალიოვის და არასამთავრობო ორგანიზაციათა შენიშვნას²⁸ წარმოადგენდა ის, რომ იგი იყო დეკლარაციული ხასიათის და მიუხედავად აკრძალვისა, სხვა მექანიზმების არ არსებობის პირობებში, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, მხარე დაუსაბუთებელ აცილებას დისკრიმინაციული საფუძველით ხომ არ ახდენდა. კანონმდებლობაში დამატებითი მექანიზმების შემოტანის ნაცვლად, მიღებული ცვლილებებით აღნიშნული ნორმა საერთოდ ამოიღეს, თუმცა რა მიზეზით, გაურკვეველია. მიგვაჩნია, რომ მსგავსი აკრძალვის არსებობა, შესაბამისი დამატებითი მექანიზმების არსებობის პირობებში, პოზიტიურ როლს შეასრულებდა მართლმსაჯულების განხორციელებისას დისკრიმინაციის გამორიცხვაში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესულ იმ ცვლილებებზე, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო ექსპერტებმა უარყოფითად შეაფასეს. საქმე ეხება ნაფიც მსაჯულთა ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას.

²⁸ ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის პროცესში, საქართველოს ადამიანის უფლებათა ქსელი, 2016, 25, 39.

განსხვავებით მანამდე არსებული წესისგან, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციას ავრცელებდა ყველა დანაშაულზე, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ახალი ცვლილებებით განისაზღვრა კონკრეტულ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელიც იქნება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსჯადი. დანაშაულთა ჩამონათვალი საკმაოდ მცირეა და მოიცავს მხოლოდ შემდეგს: განზრახ მკვლელობა (108-ე და 109-ე მუხლები), ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანება (მხოლოდ მე-2, მე-4, მე-6, მე-8 ნაწილები), ძალადობა (მხოლოდ მე-2 ნაწილი), ადამიანის ორგანოთა ვაჭრობა, ასევე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული რიგი დანაშაულები, კერძოდ: თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მხოლოდ მე-2-4 ნაწილები), ადამიანთა ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულები, მძევლად ხელში ჩაგდება, წამება და წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (მხოლოდ მე-2 ნაწილი), უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში (მხოლოდ მე-2 ნაწილი), განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება, უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, აგრეთვე შემდეგი დანაშაულები: ფალსიფიკაცია (მხოლოდ მე-4 ნაწილი), ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია (მხოლოდ მე-3 ნაწილი) და აფეთქება.²⁹ განმარტებით ბარათში არაა მითითებული თუ რა საფუძვლითა თუ ნიშნით მოხდა აღნიშნული დანაშაულებების შერჩევა და რატომ გამოირიცხა მთელი რიგი სხვა დანაშაულები. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების ამგვარი შევიწროება უარყოფითად უნდა შეფასდეს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მისი სამომავლო გაფართოების პერსპექტივას, განსხვავებით მანამდე არსებული გარდამავალი დებულებისა, რითაც კანონმდებელს ალებული ჰქონდა ვალდებულება ეტაპობრივად გაეფართოვებინა ნაფიც მსაჯულთა იურისდიქცია.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, კანონით განისაზღვრა კონკრეტული ტერიტორიული ერთეულები, სადაც იფუნქციონირებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. კერძოდ: თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოები, ასევე ზუგდი-

²⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველი მუხლის მე-9 პუნქტი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის პირველი ნაწილი).

დის, თელავის და გორის რაიონული სასამართლოები.³⁰ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ასეთი მიდგომა შეესაბამება სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკას, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო როგორც წესი, რაიონულ ცენტრებში და დიდ ქალაქებში მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ განმარტებით ბარათში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რა გახდა კანონით განსჯად სასამართლოთა შემცირების მიზეზი. ამ დრომდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციის გაფართოება ეტაპობრივად იგეგმებოდა და გარდამავალი დებულებების თანახმად, საწყის ეტაპზე მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში მოქმედებდა. შესაბამისად, უმჯობესი იქნებოდა, თუკი კანონმდებლობით გავრცელდებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეტაპობრივად გავრცელების ტენდენცია და საბოლოოდ მისი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელება. აღნიშნულის საპირისპიროდ, მიღებული ცვლილებებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირ ჩაიწერა ის შვიდი სასამართლო, რომელშიც იფუნქციონირებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, თუმცა მისი სამომავლო გავრცელების პერსპექტივა კოდექსით აღარაა გათვალისწინებული.

ასევე, ცვლილებები არ შეეხება სასჯელის დამძიმებასა და შემცირებასთან დაკავშირებით ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის სავალდებულო ხასიათს. აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე საუბარია ეუთოსა და ევროპის საბჭოს 2014 წლის 22 აგვისტოს ერთობლივ დასკვნაში, რაზეც ყურადღება GDI-მ წინა ანგარიშშიც გაამახვილა. დასკვნაში უარყოფითადაა შეფასებული ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციის მხოლოდ ხასიათი, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მსგავს საქმეებზე სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის ოდენობის პრაქტიკის შეუსაბამო კონკრეტულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან. ამასთან, ექსპერტების აზრით ბრალდებულმა უნდა იცოდეს თუ რატომ გადაწყვიტეს მსაჯულებმა მისთვის სასჯელის დამძიმება/შემცირება.³¹ ცვლილებები არც ამ მიმართულებით არ შესულა.

³⁰ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, პირველი მუხლის პირველი პუნქტი (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლი)

³¹ Joint Opinion on The Criminal Procedure Code of Georgia, OSCE/ODIHR and Council of Europe, Opinion-Nr.: CRIM -GEO/257/2014 [RJJ], Warsaw/Strasbourg, 22 August 2014, §§ 27-28. ციტირებული: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ანგარიში ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის I და II თავების შესრულებასთან დაკავშირებით, 2015, 19. <http://gdi.ge/uploads/other/0/252.pdf>

GDI იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს ზემოაღნიშნულ შენიშვნებს და გადადგამს სათანადო ნაბიჯებს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

საქმიანობა: 1.1.4. დაზარალებულთა უფლებების განმტკიცების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

ინდიკატორი: ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

შესრულების ვადა: 2014 წელი

სტატუსი: შესრულებული

დაზარალებულის უფლებების განმტკიცების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებები 2014 წლის 24 ივლისს განხორციელდა და იგი შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფილ იქნა დაზარალებულთა ინტერესების სათანადოდ დაცვა და ზოგადად სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინსტიტუტის გაძლიერება. GDI-მ 2015 წლის ანგარიშში პოზიტიურად შეაფასა აღნიშნული ცვლილებები, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი თვალსაზრისით. აღნიშნულის შემდგომ კოდექსში არსებითი ცვლილებები ამ მიმართულებით აღარ შესულა.

მიუხედავად უკვე განხორციელებული ცვლილებებისა, დაზარალებულის უფლებების კიდევ უფრო მეტად განმტკიცების მიზნით შესაძლებელია კოდექსში დამატებითი ცვლილებების შეტანა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის ინფორმაციის გაცნობის უფლება. დღეს მოქმედი ნორმებით, დაზარალებულს უფლება აქვს „გაეცნოს“ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.³² აღნიშნული ნორმის საფუძველზე ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, პროკურორი დაზარალებულს მხოლოდ ადგილზე აცნობს საქმის მასალებს და მოთხოვ-

³² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თ) ქვეპუნქტი.

ნის შემთხვევაშიც კი არ გადასცემს მათ, რაც რიგ შემთხვევებში ხელყოფს დაზარალებულის ინტერესებს.

სასურველია პროკურორს ჰქონდეს არამხოლოდ დაზარალებულისათვის საქმის მასალების გაცნობის მიცემის შესაძლებლობა, არამედ მისი გადაცემის ვალდებულებაც, რაზეც მკაფიო მითითებას თავად საკანონმდებლო ნორმა უნდა იძლეოდეს.

აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის პირველი თავი ერთ-ერთ აქტივობად ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის უფლებების შემდგომ განმტკიცებას. GDI იმედოვნებს, რომ ამ მიმართულებით გათვალისწინებული იქნება ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები.

საქმიანობა: 1.1.5. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში პირადი ცხოვრების უფლების დაცვისათვის საჭირო ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად აუცილებელი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება

ინდიკატორი: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

შესრულების ვადა: 2014-2015 წლები

სტატუსი: ნაწილობრივ შესრულებული

2015 წლის ანგარიშში „ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის I და II თავების შესრულებასთან დაკავშირებით“ GDI-მ ყურადღება გაამახვილა 2014 წელს მიღებულ იმ ცვლილებებზე, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას შეეხებოდა. ცვლილებების ნაწილი დადებითად შეფასდა, თუმცა აქვე გამოითქვა შენიშვნები რიგ საკითხებთან დაკავშირებით და გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია. სამწუხაროდ, კანონმდებლობაში ამ მიმართულებით რაიმე არსებითი ცვლილება აღარ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით მთელი რიგი საკანონმდებლო ნორმები საქართველოს კონსტიტუციის მე-20 და მე-16 მუხლებთან მიმართებით. კერძოდ:

- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება, რომელიც ანიჭებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს შესაძლებლობას, „ჰქონდეს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, სასადგურე აპარატურიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა და ამ მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა და სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები.“
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც უფლებამოსილ ორგანოს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი 2 წლის ვადით შენახვა.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი, რომელიც განმარტავს, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა არის ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143³ მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, „უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 143¹ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“

ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მეილსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებს და ამონტაჟებს სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმებზე მსჯელობისას გამოავლინა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და მთელი რიგი გარემოებები, რომლებიც სადავო ნორმების საშუალებით ქმნიდნენ უფლებაში არაპროპორციული ჩარევის მნიშვნელოვან რისკებს, კერძოდ სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი ფაქტორები:

- ტექნიკური შესაძლებლობის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფლობა და ამავდროულად ადმინისტრირების გაწევა (ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნით სათანადო ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ შესაძლებლობებს ქმნის თავად უფლებამოსილი ორგანო და პასუხისმგებელია მის ადმინისტრირებაზე);
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ინფორმაციის სატელეკომუნიკაციო წყაროზე წვდომის შესაძლებლობა, მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის საშუალებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უშუალო კავშირი კავშირგაბმულობის არხთან;
- უფლებამოსილი ორგანოს შესაძლებლობა კომუნიკაციის დასახელებულ საშუალებებთან განათავსოს და დაამონტაჟოს სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობები;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პროფესიული დაინტერესება, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რაც ზრდის უფლებაში ჩარევის ცდუნებას და რისკებს;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებას, განახორციელოს ტექნიკური ინფრასტრუქტურის სრული და ყოვლისმომცველი აუდიტი;

- ორეტაპიანი სისტემა არ არის კონტროლის საკმარისი და ეფექტური საშუალება, ვინაიდან ვერ გამოირიცხავს მის გვერდის ავლით (შესაბამისად ინსპექტორის და სასამართლო კონტროლის გარეშე) სხვა სათანადო აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენებით (პარარლელურ რეჟიმში) სატელეფონო კომუნიკაციის მოსმენას;
- არაეფექტურია, ასევე, ინსპექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების საფუძვლების კანონიერების შემოწმება და მონაცემთა დამუშავების/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება), ვინაიდან ის ვერ გამოირიცხავს მისი მონაწილეობის გარეშე ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას;
- სადავო ნორმები ითვალისწინებს ინტერნეტკომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობასაც, რაზეც ორეტაპიანი ელექტრონული სისტემაც კი არ ვრცელდება. ამავდროულად აღნიშნულთან დაკავშირებით სადავო ნორმები ერთმანეთისგან არ მიჯნავს რომელი ტექნიკური საშუალება რომელი საგამოძიებო მოქმედებისათვის უნდა გამოიყენოს უფლებამოსილმა ორგანომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო საბოლოოდ ასკვნის: „შედეგად, ასეთი მოდელი არა მხოლოდ ვერ გამოირიცხავს, არამედ თავისთავად ზრდის უფლების დარღვევის საფრთხეს და ვერ ჩაითვლება ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის ყველაზე ნაკლებად მზლუდავ და პროპორციულ საშუალებად, ამდენად, წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან.“³³

რაც შეეხება მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირებას და მათი 2 წლის ვადით შენახვის საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მხედველობაში ასევე მიიღო შემდეგი გარემოებები:

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №11/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, აიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, აიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, აიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და აიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II.პ.79.

- სადავო ნორმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღჭურავს როგორც ტექნიკური შესაძლებლობით, ისე უშუალო უფლებამოსილებით, მოახდინოს მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი შენახვა ე.წ. „ბანკებში“;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ასეთი მონაცემების შენახვისას უფლების დარღვევის რისკებს კიდევ უფრო ზრდის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოყენებაზე რეალურად ეფექტური კონტროლის ბერკეტების შექმნის შეუძლებლობა, რაზეც მიუთითებს არსებული საკანონმდებლო ნორმებიც;
- ტექნიკურად შესაძლებელია, მაიდენტიფიცირებელი მონაცემის კოპირების და შენახვის პროცესში შეიქმნას ე.წ. „ალტერნატიული ბანკი“, რომლის არსებობის შესახებ შესაძლოა არავინ იცოდეს და მასზე დაშვება არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ჰქონდეს. ამასთან, გარდა იმისა, რომ არის თეორიული შესაძლებლობა, შეიქმნას ალტერნატიული ბანკები, რომელთა არსებობის შესახებ არავის ეცოდინება, არის რეალური საფრთხე უკვე არსებულ ბანკებზე უკონტროლოდ წვდომისაც;
- კონტროლის ბერკეტები გათვალისწინებულია უკვე კოპირებული/შენახული ინფორმაციის გამოყენებაზე. თუმცა არ არსებობს არანაირი კონტროლი თავად ინფორმაციის კოპირების და შედეგად, მისი მოპოვების პროცესზე;
- არაეფექტურია კანონით გათვალისწინებული კონტროლის ისეთი ფორმა, როგორცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ადგილზე მისვლით კონტროლი. ვინაიდან ინსპექტორი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აკონტროლებს მონაცემთა ბანკებში ინფორმაციის ცვლილებას;
- სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებს ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 2 წლის ვადით შენახვა;
- სადავო ნორმა არ ზღუდავს სახელმწიფოს ვალდებულებით, მოახდინოს მხოლოდ რელევანტური ინფორმაციის კოპირება და შენახვა. არამედ, სადავო ნორმა ითვალისწინებს ყველა, ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვას;
- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და, იმავდროულად, გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის არარსებობისას უფლე-

ბამოსილი ორგანოს მიერ კოპირებულ და შენახულ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის რეალური რისკები.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლომ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და მათი 2 წლის ვადით შენახვის უფლებამოსილება ასევე, არაკონსტიტუციურად ცნო.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების არსებული მოდელი – ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა და დაავალა საკანონმდებლო ორგანოს, შემოიღოს ისეთი მოდელი, რომელიც გამორიცხავს კანონით გათვალისწინებული სისტემის და კონტროლის მექანიზმების მიღმა პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. აქვე, ხაზგასასმელია, რომ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვს ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას და მის შესაბამისად შემოღებული სისტემის ინსტიტუციურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას, შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულება 2017 წლის 31 მარტამდე გადაავადა.

სამუხაროა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წ.) შესრულების ანგარიშში ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნო ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე და არ იხსენიებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც ცვლილებების ნაწილი არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

აღსანიშნავია, რომ კამპანია „ეს შენ გეხებას“ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს შესაბამისი კანონპროექტი, რომელიც სამუხაროდ პარლამენტმა არ გაიზიარა. რაიმე საკანონმდებლო ინიციატივა კი ამ მიმართულებით ამ ეტაპზე პარლამენტში რეგისტრირებული არ არის.

GDI იმედოვნებს, რომ საქართველოს საკანონმდებლო ორგანო სრულად გაითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, მისი სამოტივაციო ნაწილის ჩათვლით და შემოიღებს პირადი ხასიათის ინფორმა-

ციის მოპოვების ისეთ მოდელს, რომელიც სრულ შესაბამისობაში იქნება როგორც ევროპულ სტანდარტებთან, ასევე, საქართველოს კონსტიტუციასთან.

**ამოცანა: 1.2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
ლიბერალიზაციის, მოსამართლის დისკრეციის გაზრდის,
ნათელი და განჭვრეტადი სისხლის სამართლის ნორმების
ფორმირების მიზნით ცვლილებების პროექტის მომზადება**

საქმიანობა: 1.2.1. ზოგადი ნაწილის პროექტის მომზადება

საქმიანობა: 1.2.2. კერძო ნაწილის პროექტის მომზადება

შესრულების ვადა: 2014–2015 წლები

ინდიკატორი: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

სტატუსი: შესრულებული

2015 წლის ანგარიშში GDI-მ დადებითად შეაფასა პასუხისმგებელი უწყებების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვის მიზნით განხორციელებული აქტივობები და სისხლის სამართლის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებები. ამასთანავე, GDI-მ პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების ფარგლებში კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები მიაწოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 09 ივლისს მომზადებული პროექტი ექსპერტიზისათვის გადაეგზავნა ევროპის საბჭოს, საიდანაც დასკვნა 2015 წლის მარტში იქნა მიღებული. სამდივნოს მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის თანახმად, აღნიშნული დასკვნის საფუძველზე განახლდა კოდექსის პროექტი. ამასთან, 2015 წლის 13 ოქტომბერს გაიმართა კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა ევროპის საბჭოს ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე კოდექსის პროექტში შესული ცვლილებები. კანონპროექტის საბოლოო ვერსიის გაგზავნა ანგარიშის თანახმად 2016 წელს იგეგმება.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტივობების განხორციელება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებს სცდება, გაწეული საქმიანობის, დაგეგმილი ცვლილებების მასშტაბისა და იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის მომზადების ფარგლებში დოკუმენტი ევროპის საბჭოს გადაეგზავნა დასკვნის მისაღებად (რასაც შესაბამისი დრო სჭირდებოდა), მთლიანობაში პასუხისმგებელი უწყებების მიერ გაწეული საქმიანობა მიზნის მიღწევის საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

ამოცანა: 1.3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვა

საქმიანობა: 1.3.1. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემურად ახალი პროექტის შემუშავება; ადმინისტრაციულ პატიმრობასთან დაკავშირებული ნორმების სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შესაბამისობაში მოყვანა

შესრულების ვადა: 2014–2015 წლები

ინდიკატორი: სისტემურად გადასინჯულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში

სტატუსი: შეუსრულებელი

უარყოფითად უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს პოზიცია სამოქმედო გეგმის წინამდებარე ქვეთავის შესრულებასთან დაკავშირებით. ანგარიშში სამდივნოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვის კონტექსტში წარმოდგენილი აქვს კოდექსის მოქმედ რედაქციაში შესული ცვლილებები. მართალია, აღნიშნულმა ცვლილებებმა გარკვეულწილად გააუმჯობესა პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვის ხარისხი, რიგ შემთხვევაში კი კანონ-

მდებლობა დაუახლოვა ევროპულ სტანდარტსაც (იგულისხმება ადმინისტრაციული პატიმრობის 90 დღიანი ვადის 15 დღემდე შემცირება), თუმცა, ეს ცვლილებები არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც კოდექსის სისტემური გადასინჯვა.

მოქმედი, 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით საზოგადოება ერთხმად თანხმდება. GDI იზიარებს მოსაზრებას, რომ მოძველებული, საბჭოური სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედი რედაქციის გარკვეული დებულებები თვითონ გვევლინება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დარღვევის საფრთხედ. შესაბამისად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შემუშავება და მიღება. ახალმა კოდექსმა უნდა გაითვალისწინოს სისტემურად ახალი, ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული მიდგომები.

სამდივნოს ანგარიშში არ არის ასახული, თუმცა მთავრობის ადმინისტრაციიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის რეფორმის ხელშეწყობმა სამთავრობო კომისიამ³⁴ საქმიანობის ფარგლებში შეიმუშავა სისტემურად ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ასევე, ცვლილებების პაკეტი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში.

ცვლილებების ფუნდამენტური მიდგომა გულისხმობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსიდან რიგი სამართალდარღვევების გადატანას სისხლის სამართლის სფეროში. სამართალდარღვევები უნდა ექცეოდეს ე.წ. „სისხლის სამართლის ბრალდების“ ფარგლებში. მათი ბუნება მნიშვნელოვნად ახლოს უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაულთან, რაც განაპირობებს მათი ჩამდენი პირებისთვის საპროცესო უფლებების უმაღლესი სტანდარტით გარანტირების აუცილებლობას.

მთავრობის მიერ შემოთავაზებული ცვლილებით, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოდის ახალი, მსუბუქი დანაშაულის ცნება, რომელიც

³⁴ კომისია შეიქმნა 2014 წლის 3 ნოემბრის #1981 მთავრობის განკარგულებით.

აერთიანებს მოქმედი წესით ხუთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ესენია, წვრილმანი ხულიგნობა, საგანგებო (ექსტრემალური) სამსახურების გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის – „112“-ის – არამიზნობრივი გამოყენება, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და 11¹ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა, სამართალდამცველის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, მათ შორის, სიტყვიერი ან სხვა სახის შეურაცხყოფა და დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა.³⁵ ამ დანაშაულებისთვის სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებები ითვალისწინებს მაქსიმუმ 3 თვემდე თავისუფლების აღკვეთას და მათი ჩადენა არ იწვევს ნასამართლობას. ამასთან, მსუბუქ დანაშაულთან მიმართებით ლიბერალურ მიდგომებს აწესებს დაგეგმილი ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მაგალითად, ერთი შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არა უმეტეს 2 თვისა, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების ზოგადი წესი მსუბუქი დანაშაულისთვის გამოირიცხავს მის გამოყენებას და სხვა.

ცვლილებების ავტორის მიდგომით, აღნიშნულ გადაცდომებს აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულის ბუნება, ვინაიდან ყველა მათგანისთვის სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა.

ასევე, მისასალმებელია მთავრობის მიდგომა ადმინისტრაციული სახდელეების კატალოგის გადასინჯვასთან დაკავშირებით. ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სახდელის სახით აღარ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას.

აღნიშნულ ცვლილებებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს უცხოელი ექსპერტების მიერ მომზადებული დასკვნის შესახებ.³⁶ ეს უკანასკნელი

³⁵ <http://www.transparency.ge/node/5915> [უკანასკნელად შემოწმდა 14.08.2016].

³⁶ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტზე 2016 წლის 11 დასკვნა საქართველოს ადმინისტრაციულ თებერვლის მდგომარეობით. ავტ: პროფესორი დოქტორი ლორენა ბახმაიერი ვინტერი, Universidad Complutense, მადრიდი, ესპანეთი პიტერ პავლინი, სლოვენის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

განსახილველად წარედგინა, მათ შორის, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამ-
ჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ სისხლის სამართლის რეფორმის ჯგუფს,
რომლის საქმიანობაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტის იურისტები.

დასკვნა მოიცავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი
ნაწილის, ასევე, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კო-
დექსის ცვლილებებს. ექსპერტები ზოგადად მიესალმებიან რეფორმის ინიცი-
ატივასა და მის ფორმას. ისინი აღნიშნავენ, რომ ცვლილებები შესაბამისობაშია
ევროპულ და გაეროს სტანდარტებთან, როგორცაა სამართლიანი სასამარ-
თლოს გარანტიები, უდანაშაულობის პრეზუმფიცია და გასაჩივრების უფლება,
თუმცა იქვე წარმოადგენენ მნიშვნელოვან შეფასებებსა და რეკომენდაციებს,
რომელთა დიდი ნაწილი უმეტესად კოდექსის ტექნიკურ მხარეს ეხება.

პირველ რიგში, მისასალმებელია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სა-
მართალდარღვევათა კოდექსში შემოდის სასამართლო კონტროლის გაძ-
ლიერებული მექანიზმი. აღნიშნული უზრუნველყოფს უფლებათა მაღალი
ხარისხით დაცვას და პირის უფლებას მისი საქმე განხილულ იქნეს სასამარ-
თლოს მიერ. ამასთანავე ექსპერტების აზრით, მართებულია სისხლის სამართ-
ლის დანაშაულის ბუნების მქონე გადაცდომების კრიმინალიზაცია, რასაც თან
სდევს მათი ჩამდენი პირებისთვის მთელი რიგი პროცესუალური უფლებების
მაღალი სტანდარტით გარანტირება. თუმცა, ისინი მიიჩნევენ, რომ ადმინის-
ტრაციული გადაცდომის სისხლის სამართლებრივი ბუნება არ გამოიხატება
მხოლოდ იმაში, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა მისი ჩადენისთ-
ვის სახდელის სახით პატიმრობას ითვალისწინებს. ექსპერტების პრინციპუ-
ლი მიდგომის თანახმად პროცესუალური გარანტიების სტანდარტი, რომელიც
შეეხება მსუბუქ დანაშაულებს უნდა გავრცელდეს უმეტეს ადმინისტრაციულ
სამართალდარღვევაზე, ვინაიდან მათი ბუნებიდან გამომდინარე, გათვალის-
წინებული სახდელის მიუხედავად, ისინი ექცვიან კონვენციით გათვალისწი-
ნებულ სისხლის სამართლის ბრალდების ცნების ფარგლებში.

ზოგადად რეფორმას და მთავრობის მიერ მომზადებულ ცვლილებებს და-
დებითად ვაფასებთ. ასევე, ვითვალისწინებთ, რომ ცვლილებები დამუშავე-
ბის პროცესშია, თუმცა მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ რე-
ფორმის განხორციელების რაიმე სახით დაყოვნების მცდელობა უარყოფი-

თად აისახება მთლიანად რეფორმის მიმდინარეობაზე. ამასთან, ვიზიარებთ ექსპერტების მოსაზრებას, მათ შორის იმ ნაწილში, რომ უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს და განისაზღვროს ორმაგი დასჯის აკრძალვის შესახებ რეგულაცია, ასევე, უდანაშაულობის პრეზუმფციის და განზრახვა, გაუფრთხილებლობის შესახებ ნორმები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მიგვაჩნია, რომ განხილვის საგნად უნდა იქცეს ადმინისტრაციული წესით დაკავებასთან დაკავშირებული მიდგომა და ბუნდოვანებები, რასაც ცვლილებებით განსაზღვრული რეგულაცია შეიცავს. მიუხედავად, სამართალდამცავთა საქმიანობაზე, მოქმედთან შედარებით, უფრო მკაფიო სასამართლო კონტროლის მექანიზმის წარმოდგენისა, კვლავ არსებობს საფრთხე ადმინისტრაციული წესით დაკავების გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი გამოყენების თაობაზე.

ამასთან, უარყოფითად ვაფასებთ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეული ნორმების დარღვევის კრიმინალიზაციის მცდელობას. ესენია, კანონით დადგენილი პერიმეტრის დარღვევა და შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეთა მიერ ტრანსპორტის საჯარი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვა (კანონის მე-9 და მე-11¹ მუხლები).³⁷ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქმედებები მათი სოციალური საფრთხიდან გამომდინარე არ შეიძლება მოექცეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეგულირების სფეროში. ვინაიდან ყოველთვის იარსებებს უარყოფითი განცდა ხელისუფლების მხრიდან კონსტიტუციით გარანტირებულ ფუნდამენტურ უფლებაში, გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებელი და მალალი ინტენსივობით ჩარევის თაობაზე.

მიუხედავად გარკვეული აქტივობებისა პასუხისმგებელმა უწყებებმა ვერ შეძლეს სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულების დადგენილ ვადაში შესრულება. დღემდე ბუნდოვანია თუ რატომ ყოვნდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმის დასრულების პროცესი. განსაკუთრებით შემაშფოთებელია პასუხისმგებელი უწყებების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა სამოქმედო გეგმით დადგენილ ვადებში, რაც მონიტორინგის შედეგების მიხედვით სისტემურ ხასიათს ატარებს.

³⁷ <http://www.transparency.ge/node/5915> [უკანასკნელად შემოწმდა 14.08.2016].

ამოცანა: 1.4. სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების მიზნით მოსამართლის როლის გაზრდა

საქმიანობა: 1.4.1. სისხლის სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ნორმების შესაბამისად მოსამართლის როლის გაანალიზება ადამიანის უფლებების დაცვის, მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის, უფლებების დარღვევების პრევენციისა და დარღვევაზე რეაგირების კუთხით.

შესრულების ვადა: 2014-2015 წლები

ინდიკატორი: მომზადებულია შესაბამისი კვლევა; კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის

სტატუსი: გაურკვეველი

საქმიანობა: 1.4.2. 1.4.1-ში გათვალისწინებული ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში

შესრულების ვადა: 2015 წელი

ინდიკატორი: მომზადებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

სტატუსი: გაურკვეველი

აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით სამდივნოს ანგარიშში მითითებულია, რომ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მომუშავე ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორცი-

ელეგელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის პროცესის დროს წამებასთან და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლაში მოსამართლის როლის გაზრდას. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების თანახმად, სასამართლოს სხდომის/განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლე, თუ მას გაუჩნდა ვარაუდი, რომ ბრალდებული ან მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას, ასევე, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, უფლებამოსილია მიმართოს საგამოძიებო ორგანოებს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

მსგავსი საკანონმდებლო წინადადების მომზადება, ცხადია, პოზიტიურად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ბრალდებულთა ან/და მსჯავრდებულთა მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოვლენასა და აღკვეთას.

აღსანიშნავია, რომ GDI-მ მიმართა იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა აღნიშნული დოკუმენტი, ასევე ინფორმაცია ზოგადად სამოქმედო გეგმის 1.4.1 და 1.4.2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით, თუმცა რაიმე პასუხი სამინისტროსგან არ მიგვიღია. იმის გათვალისწინებით, რომ იუსტიციის სამინისტროს არ მოუწოდებია რაიმე ინფორმაცია/დოკუმენტი აღნიშნული აქტივობების შესრულებასთან დაკავშირებით და საქმიანობის შესრულების შესახებ ინფორმაცია არც სხვა წყაროებიდან (მათ შორის მედიაში) იძებნება, მხოლოდ სამდივნოს ანგარიშში მოხსენიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეუძლებლად მივიჩნევთ სამოქმედო გეგმის 1.4.1 და 1.4.2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის შეფასებას. შესაბამისად, ამ აქტივობების სტატუსია „გაურკვეველი“.

ინფორმაცია აქტივობების სამოქმედო გეგმით დადგენილ ვადაში შესრულების შესახებ

საქმიანობების რაოდენობა	შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	ნაწილობრივ შესრულებული საქმიანობების რაოდენობა	შეუსრულებელი საქმიანობების რაოდენობა	სტატუსი გაურკვეველი
10	4	1	3	2

დოკუმენტის მიღების მოკლე ისტორია

2016 წლის 13 ივნისის №1138 განკარგულებით საქართველოს მთავრობამ მოიწონა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წწ.) პროექტი და „ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის 2014-2015 წლების შესრულების ანგარიში“. ამავე განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროექტი და ანგარიში საქართველოს პარლამენტს გადაეგზავნა დასამტკიცებლად. 2016 წლის 20 ივნისის საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა აღნიშნული დოკუმენტები, თუმცა მათი დამტკიცება ჯერ არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 09 ივლისის №445 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს დებულების თანახმად, უწყებათაშორისი საბჭო ვალდებული იყო სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ყოველწლიური ანგარიში მოემზადებინა არაუგვიანეს 15 მარტისა, რომელიც არაუგვიანეს 31 მარტისა უნდა წარდგენოდა საქართველოს პარლამენტს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დოკუმენტი საქართველოს პარლამენტს საკმაოდ გვიან, თითქმის სამთვიანი დაგვიანებით წარედგინა.

აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები 2015 წლის ნოემბრიდან ჩაერთვნენ, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსია გაასაჯაროვა. მიღებული შენიშვნების შემდგომ, 2016 წლის თებერვალში, გაიმართა კიდევ ერთი განხილვათა ციკლი, რის შემდეგაც სამდივნო სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის

შემუშავებას შეუდგა. უნდა აღინიშნოს, რომ GDI აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა როგორც წერილობით ასევე, ზეპირად.

შენიშვნები სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016–2017 წწ.) სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები დააფიქსირეს უცხოელმა ექსპერტებმა საბრინა ბუნლერმა³⁸ და მარკ ლიმონმა³⁹. მათი მოსაზრებები უმეტეს შემთხვევაში ემთხვევა GDI-სა და სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ გამოხატულ შენიშვნებს, შესაბამისად, მოცემულ თავში წარმოგიდგენთ იმ ხარვეზებს და შესაბამის რეკომენდაციებს, რომელიც დაფიქსირდა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის განხილვის პერიოდში.

- ეროვნული სტრატეგიის ზოგიერთი ელემენტი ადეკვატურად არ არის ასახული გეგმაში, მაგალითად, თანასწორობასა და ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. მართალია, სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიაში აისახა მთელი რიგი მიზნები, ამოცანები და საქმიანობები, თუმცა გეგმა სრულყოფილად არ ითვალისწინებს, მაგალითად, სექსუალური უმცირესობების დაცვის მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს;
- სამოქმედო გეგმა შეიცავს ადამიანის უფლებების საკითხთან არარელევანტურ, ირიბი კავშირის მქონე საქმიანობებს, ამოცანებსა და მიზნებსაც კი, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ის სხვა სამოქმედო გეგმებიდანაა პირდაპირ გადმოტანილი. ასეთი ირიბი კავშირის მქონე აქტივობებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტრენინგების ჩატარება, გარკვეული სახელმძღვანელოებითა და მასალებით შესაბამისი პირების უზრუნველყოფა და სხვა;
- ხარვეზებია თავად სტრატეგიის აღსრულებასა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მიზნით შექმნილ სტრუქტურული ერთეულების ფუნქცი-

³⁸ Buchler S., Expert on Government Human Rights Action Plan Development, Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG), December 2015.

³⁹ Limon M., Institutional strengthening and organizational development of the Human Rights Council of Georgia, Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG), November 2015.

ონირებასთან დაკავშირებით. კერძოდ პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ზუსტი როლი და მანდატი განსაზღვრული არ არის მოქმედი რეგულაციებით. ასევე, ბუნდოვანი და პრობლემურია ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოს მანდატი, საქმიანობა და სტრუქტურა;

■ სამოქმედო გეგმაში ზოგიერთი თავის სათაური შერჩეულია არა უფლებების, არამედ პასუხისმგებელი უწყებების მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის აღსრულების ინსტრუმენტს და კონკრეტული უფლებების გარანტირების საშუალებას, უმჯობესი იქნება, თუკი სამოქმედო გეგმის თავებიც უფლებების მიხედვით იქნება დაყოფილი. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ვერსიისგან განსხვავებით ასეთი თავების ოდენობა საბოლოო ვერსიაში შემცირებულია, თუმცა ცალკე თავად ისევ გვევლინება მაგალითად „პროკურატურა“;

■ სერიოზულ კრიტიკას იწვევს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორები. მიუხედავად უცხოელი ექსპერტებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი მოწოდებისა, ამ მიმართულებით არსებული შენიშვნების გათვალისწინება ფაქტობრივად არ მომხდარა. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორების უმრავლესობა მიმართულია თავად საქმიანობაზე (და არა ამოცანასა და მიზანზე) და აფასებს მხოლოდ იმას, მოხდა თუ არა მაგალითად ცვლილებების ინიცირება ან რამდენ პირს ჩაუტარდა ესა თუ ის ტრენინგი. ასეთი ინდიკატორები ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის იმის შეფასებას, რამდენად შესრულდა განხორციელებული საქმიანობით გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და მიზნები. აუცილებელია, ინდიკატორები ითვალისწინებდეს ხარისხობრივი შეფასების შესაძლებლობასაც. აღნიშნულთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები დააფიქსირა GDI-მაც 2015 წლის ანგარიშში. სამწუხაროა, რომ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიის შემუშავებისას აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება სრულყოფილად მაინც არ მომხდარა;

■ ბუნდოვანია ისიც, თუ რა ურთიერთმიმართება უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმასა და სხვა სამოქმედო გეგმებს შორის, რომელიც კონკრეტული მიმართულებებით არსებობს (იგივე ეხება ადამიანის უფლებათა საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოს და სხვა, კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის)

საბჭოების ურთიერთმიმართებას). ექსპერტების განმარტებით, არ არის ცხადი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა უნდა წარმოადგენდეს ე.წ. „ქოლგა“ დოკუმენტს და არ უნდა აღწერდეს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით მთავრობის დეტალურ პოლიტიკას;

■ პრობლემურია ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოსა და პასუხისმგებელ უწყებებს ასევე, მათსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით ურთიერთობების წარმართვა.

■ სასურველია სამოქმედო გეგმა დაუკავშირდეს საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვას და ითვალისწინებდეს ამ ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს მიერ შესასრულებელ მიზნებს, ამოცანებსა და აქტივობებს;

■ მარკ ლიმონის რეკომენდაციით უმჯობესია, თუკი სამოქმედო გეგმა იქნება არა ორწლიანი, არამედ ოთხწლიანი. თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით ფიქსირდება აზრთა სხვადასხვაობა. ამასთან, ექსპერტის რეკომენდაციით უმჯობესი იქნება თუკი შეიქმნება სპეციალური ონლაინ პლატფორმა, რომელშიც რეალურ დროში შესაბამისი უწყებები მიუთითებენ უკვე განხორციელებულ აქტივობებს და სამდივნოს შეეძლება თვალი ადევნოს ამ პროცესს.

2016–2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის პირველი თავის შინაარსობრივი შეფასება

ახალი სამოქმედო გეგმა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულებით ითვალისწინებს ორ მიზანს: 1) სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადახედვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების კუთხით; 2) უშუალოდ სამართალდამცავი სისტემის შიგნით დანაშაულის ჩადენის ფაქტების მაქსიმალურად გამორიცხვა და ნებისმიერ გადაცდომაზე ეფექტიანი რეაგირება, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რომელიც სრულად გაითვალისწინებს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებს.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ახალი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი ამოცანები და საქმიანობა. მათ შორის, აღსანიშნავია, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რომელიც ითვალისწინებს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძვლების სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების დისპოზიციაში დამამძიმებელ გარემოებად პირდაპირ მითითებას. დადებითად უნდა შეფასდეს ასევე, ისეთი აქტივობები, როგორცაა სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების და ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით მოსამართლეთა მგრძობელობის გაზრდა, მათი გადამზადება, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან საჯარო განცხადებების გაკეთებისას უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის უზრუნველყოფა და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად წინა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის არასრულყოფილად შესრულებისა (რასთან დაკავშირებითაც საუბარი ამავე ანგარიშის წინა თავებშია), ახალი სამოქმედო გეგმა აღარ ითვალისწინებს ამ აქტივობებს (შენარჩუნებულია მხოლოდ დაზარალებულის უფლებების განმტკიცებასთან, ასევე ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ინიცირებასთან დაკავშირებული აქტივობები). აღნიშნული ფაქტი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პასუხისმგებელი უწყებები (ამ შემთხვევაში პირველ რიგში იუსტიციის სამინისტრო) წინა გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობასა და რიგ ამოცანებს უკვე შესრულებულად მიიჩნევენ, რომელსაც აღარ სჭირდება გადახედვა. გასათვალისწინებელია, რომ უცხოელი ექსპერტის საბრინა ბუჩლერის მოსაზრებით, ის საკითხები რომელიც ეხებოდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში ისევ უნდა დარჩეს და შეფასდეს მისი აღსრულების თვალსაზრისით, ვინაიდან თავისთავად ცვლილებების ინიცირება ვერ იქნება მიზნის მიღწევის საკმარისი საშუალება, თუ არ მოხდება მისი სათანადო იმპლემენტაცია.⁴⁰ სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება სამოქმედო გეგმის პირველ თავთან მიმართებით ფაქტობრივად არ მომხდარა (მსგავსი აქტივობა მხოლოდ დაზარალებულის უფლებებზე გვხვდება).

⁴⁰ Buchler S., Expert on Government Human Rights Action Plan Development, Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG), December 2015, 7.

სამდივნოს:

კვლავ აქტუალური რჩება პროექტის პირველ ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის

- სამოქმედო გეგმაში ასახული ინდიკატორები უნდა დაკონკრეტდეს, რაც გულისხმობს მათი ისეთი ფორმით ჩამოყალიბებას, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი აქტივობის შეფასების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ შინაარსობრივი მხარეც; ინდიკატორმა უნდა მოგვცეს საშუალება შევავასოთ არამხოლოდ აქტივობა, არამედ თუ რამდენად იქნა მიღწეული დასახული მიზანი აქტივობის შესრულებით;
- სამდივნოს ანგარიშებში სრულად აისახოს აქტივობების შესრულების მდგომარეობა განხორციელებული და განუხორციელებელი აქტივობების შესახებ ისე, რომ აღქმადი გახდეს ინფორმაცია შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების შესახებ. ასევე, ინფორმაცია პასუხისმგებელი უწყებების მიერ საქმიანობის შესრულების პერიოდის თობაზე;
- ამასთანავე, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში გამოიკვეთოს ის აქტივობები, რომლებიც რაოდენობრივი შესრულების მიუხედავად ხარისხობრივად არ შეესაბამება სამოქმედო გეგმით დასახულ მიზანს ან უფრო მეტიც, აუარესებს არსებულ მდგომარეობას.

პასუხისმგებელ უწყებებს:

- სისხლის სამართლის პროცესში შევიბრებიან პრინციპის და დაცვის მხარის უფლების განმტკიცების მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გამოკითხვის წესის იმ სახით ამოქმედება, რომელიც კოდექსში 2009-2010

წლების რეფორმის შედეგად აისახა და პირის მიერ გამოძიებისთვის ინფორმაციის მიწოდების სრულ ნებაყოფლობითობას გულისხმობდა;

- სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის და დაცვის მხარის უფლების განმტკიცების მიზნით აღმოიფხვრას კანონმდებლობაში არსებული სხვა ხარვეზები. კერძოდ, ბრალდების მხარესთან ერთად დაცვის მხარესაც მიენიჭოს უფლებამოსილება სასამართლოს მიმართოს კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის შუამდგომლობით. ასევე, გაუქმდეს ე.წ. „მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის“ უფლება;

- სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლების მეტად განმტკიცებისთვის ამ უკანასკნელს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასთან ერთად უფლება მიეცეს მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს საქმის მასალის ასლები;

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რეფორმის კუთხით მოხდეს ისეთი საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება, რომელიც სრულად ასახავს ODHR-ისა და გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციებს;

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავდეს პირადი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების ისეთი მოდელი, რომელიც შესაბამისობაში იქნება, როგორც ევროპულ სტანდარტებთან, ასევე საქართველოს კონსტიტუციასთან;

- გააქტიურდეს მუშაობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისტემური გადასინჯვის რეფორმაზე. მთავრობის მიერ მომზადებულ პროექტში აისახოს საერთაშორისო ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცეთ კანონპროექტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღონ კოდექსის მუხლობრივ განხილვაში;

- პასუხისმგებელმა უწყებებმა შესაბამისი საქმიანობები განახორციელონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

